



მარტვილის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი

2017 წელი

შინაარსი

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები	2
2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა	6
2.1 სოფლის მეურნეობა	6
2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა	12
2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო	14
3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა	16
3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა	18
3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა	22
4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა	23
4.1 ჯანდაცვის მომსახურეობის ხელმისაწვდომობა	23
4.2. სოციალური მომსახურეობა	24
5. განათლება, კულტურა და სპორტი	27
5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა	27
5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები	29
6. გარემოს დაცვა	30
7. ხელისუფლება	32
8. SWOT ანალიზი	35
9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია	41
10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები	42
დანართი	45

1. ზოგადი საპასპორტო მონაცემები

გეოგრაფიული მდებარეობა

მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ლენტეხის, აღმოსავლეთით - ხონისა და ცაგერის, სამხრეთით - სენაკის და აბაშის, დასავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 88,060 ჰა-ს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 21,947 ჰექტარი, ხოლო 45,000 ჰა ტყეებს უჭირავს.

ადმინისტრაციული ცენტრია ქ. მარტვილი. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემებია: მანძილი თბილისამდე - 279 კმ; მანძილი ზუგდიდამდე - 80 კმ; უახლოესი პორტი ქალაქი ფოთი - 70 კმ; უახლოესი რკინიგზის სადგური - ქ. აბაშა 35 კმ; უახლოესი აეროპორტი-ქუთაისი, კოპიტნარი - 40 კმ.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჰკვეთს მდინარეები ტეხური და აბაშა, რომელთაც სათავე აქვთ ეგრისის ქედის სამხრეთ კალთაზე. მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს ჩამოუდის მდინარე ცხენისწყალი. მდინარეებს ასაზრდოებს წვიმის, თოვლის და მიწისქვეშა წყლები. დიდ როლს თამაშობს მათ რეჟიმში კარსტული წყლები, რომლებიც ვოკლუზების სახით გამოდიან. მდინარეებს აქვს ენერგეტიკული მნიშვნელობა. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტბებიდან აღსანიშნავია ტობავარჩხილის (დიდი და მცირე) ტბები.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

საშუალო წლიური ტემპერატურა 13,8°C, იანვარი 4,7°C, აგვისტო 22,5°C. აბსოლუტური მინიმალური -18°C, აბსოლუტური მაქსიმალური 40°C. ნალექები 2,040 მმ წელიწადში. ნალექების მაქსიმუმი ზაფხულ-შემოდგომაზე მოდის. ბორცვიან მთისწინეთში ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი თბილი ზაფხული, ნალექები 2,097 მმ წელიწადში.

მარტვილის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია მდინარეების სიმრავლით, რაც ამაღლებს წყალუხვიან პერიოდში მდინარეების კალაპოტიდან გადმოსვლისა და სახნავ-სათესი სავარგულების, ასევე საცხოვრებელი საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის რისკს. წყალმოვარდნის განსაკუთრებული რისკ-ფაქტორი ბოლო წლებში მომხდარი სტიქიურ მოვლენების გათვალისწინებით არსებობს ივნის-ივლისის პერიოდში. გვალვის პერიოდი ძირითადად დგება აგვისტოს თვეში. მეწყრული პროცესებით კი გამოირჩევა ქ. მარტვილის ქვაითის უბანი, სოფ. ნახუნაო, სოფ. კურზუ, სოფ. ინჩხური და მაღალმთიანი სოფლები.

მუნიციპალიტეტის დასახლებები

ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულია მარტვილი. სოფლის ადმინისტრაციული ერთეულებია - აბედათი, ბანძა, გაჭედილი, გურძემი, დიდი ჭყონი, დოშაყე, ვედიდკარი,

თამაკონი, ინჩხური, კიწია, კურზუ, ლეხაინდრაო, ნაგვაზაო, ნახუნაო, ნაჯახაო, ონოღია, სალხინო, სერგიეთი, ტალერი, ხუნწი.

სოფლის ადმინისტრაციული ერთეულებია - აბედათი (აბედათი, ლემიქავე, ლექაჯაიე, ჯოლევი), ბანძა (ბანძა, ლევახანე, ლეკეკელე, ლეპატარე), გაჭედელი (გაჭედელი, მეორე ბალდა, მესამე ბალდა, თამაკონი, პირველი ბალდა, სკურდი), გურძემი (პირველი გურძემი, მეორე გურძემი, ნახურცილაო), დიდი ჭყონი (დიდი ჭყონი, ლედგეზე, მეორე ნამიკოლაო, ოჩე, მამული), დოშაყე (დოშაყე, ლეჟვანე, ლეჟობალიე), ვედიდკარი (ვედიდკარი, ლეფოჩხუე, მახათი, მუხურჩა, ორქა), თამაკონი (თამაკონი, თარგამეული, პირველი ნამიკოლაო), ინჩხური (დიდი ინჩხური, ლეზაჩე, პატარა ინჩხური), კიწია (პირველი კიწია, ალერტი, ნოღა, მეორე კიწია), კურზუ (კურზუ, გოდოგანი, დობერაზენი, დღვანა, საბერულაო, სანაჭყებო), ლეხაინდრაო (ლეხაინდრაო, ნოჯიხევი, სტეფას დაბალი), ნაგვაზაო (ზედა ნაგვაზაო, ლეკვანტალიე, ქვედა ნაგვაზაო), ნახუნაო (ნახუნაო, წინაკვერკვე, ჭაბურთა), ნაჯახაო (ნაჯახაო, ნაგებერაო), ონოღია, სალხინო (სალხინო, ვახა, ლეგულორდავე, ლესხულუხე, ლეცავე, ჟინოთა, წაჩხურუ), სერგიეთი (სერგიეთი, ბობოთი), ტალერი (ტალერი, ზედა ეწერი, ნობულევი, ოჩე), ხუნწი (ქვედა ხუნწი, ზედა ხუნწი, ლეციცხვაიე).

წიაღისეული და სხვა ბუნებრივი რესურსები


მინერალური წყლებიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვხვდებით ლეზარდეს, რომელიც ზღვის დონიდან 1600 მ-ზე მოიპოვება. არ მოიპოვება მინერალური ნედლეული. სამშენებლო მასალებიდან ვხვდებით კირქვას, თიხასა და ქვიშა-ხრემს. ხოლო ნედლეული რომელიც მოიპოვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფართოდ გამოყენებადი ნედლეულია, მაგალითად კირქვას იყენებენ კირის დასამზადებლად, აგრეთვე კირქვა ხშირად ეკლესია-მონასტრებში სამშენებლო მასალად გამოიყენება, რადგან ადვილია დასამუშავებლად, აგრეთვე გამოიყენება მოსაპირკეთებლად, კირქვისგან ამზადებენ ჯვრებს და ხატებს. რაც შეეხება ქვიშა-ხრემს აღნიშნულ ბუნებრივ რესურსს იყენებენ სამშენებლო მასალად, ისევე როგორც გზების რეაბილიტაციისთვის, ასევე გზების სამშენებლო სამუშაოებისას და შენობების მშენებლობის დროს.

დემოგრაფია

მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მონაცემებით შეადგენს 33,463 მოსახლეს. აქედან 16,433 კაცი, 17,030 ქალი. მოცემული რაოდენობიდან 29,039 მოსახლე ცხოვრობს სოფლად. სკოლამდელი ასაკის რაოდენობა შეადგენს 1,847 (949 ბიჭი და 898 გოგო). საპენსიო ასაკის პირების საერთო რაოდენობა შეადგენს 2,446, აქედან ქალაქში ცხოვრობს 331, ხოლო სოფლად 2,115 მოსახლე.

მუნიციპალიტეტში იგრძნობა მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, რაც გამოწვეულია დასაქმების პრობლემით. ბოლო წლებში გაზრდილია მოსახლეობის გადინება სოფლიდან ქალაქში.

დიაგრამა #1: მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა წლების მიხედვით (ათასი კაცი)



მიგრაციის უარყოფითი ტენდენციის მიზეზი მძიმე სოციალური პირობებია, მას შემდეგ რაც ახალგაზრდები უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად სხვადასხვა ქალაქებში გადადიან საცხოვრებლად, მუნიციპალიტეტში სამუშაო ადგილების სიმცირის გამო ძალიან მცირე რაოდენობა ბრუნდება. შედეგად თანდათან მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. ასევე მიგრაცია ხდება სხვადასხვა ქვეყნებში და მისი მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, ასევე არასტაბილური სოციალური მდგომარეობაა.

მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს და მომავალ წლებშიც გაგრძელდება, საავტომობილო გზების, ხიდების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, სარწყავი და სანიაღვრე სისტემების, გაზსადენი მაგისტრალების, საბავშვო ბაღებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება რაც ხელს შეუწყობს სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას, სოფლის მეურნეობისა და სხვა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას მუნიციპალიტეტში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის მუნიციპალიტეტში დამკვიდრებას.

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2016 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, აღირიცხება 7984 პენსიონერი. 16334 პირი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, რაც მოსახლეობის 54,8%-ია. ხოლო საარსებო შემწეობას იღებს - 7145 პირი (1808 ოჯახი).

მუნიციპალიტეტში სოციალურ პაკეტთა მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 2298 პირს, მათ შორის 2004 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. 2016 წლის მონაცემებით მარტვილის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 2790 დევნილი (მათ შორის 536 არის საარსებო შემწეობის მიმღები, ხოლო 2254 - დევნილის დახმარების) და 4 ეკომიგრანტი. შშმ პირთა რაოდენობა (I ჯგუფი, II ჯგუფი, III ჯგუფი) შეადგენს 2004 ადამიანს. მუნიციპალიტეტში იგრძნობა მოსახლეობის მიგრაციის პროცესი, რაც გამოწვეულია დასაქმების პრობლემით.

დასაქმება და უმუშევრობა

მუნიციპალიტეტის მონაცემებით შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 17,836 პირს. ცხრილი #1-ში მოცემულია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამუშაო ძალის რაოდენობა წლების მიხედვით, რაც გვამლევს საშუალებას ვივარაუდოთ რომ მუნიციპალიტეტში სამუშაო ძალის გადანაწილებაც მიახლოებით მსგავსია.

ცხრილში #1: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სამუშაო ძალის რაოდენობა წლების მიხედვით

	2013	2014	2015
უმუშევრობის დონე %	15.8	13.4	12.5
აქტიურობის დონე %	70.2	69.3	70.6
დასაქმების დონე %	59.1	60.0	61.8

საქ-სტატის 2015 წლის მონაცემებით მარტვილის მუნიციპალიტეტში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 986 პირს, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია 284 ერთეულით.

საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 694, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში დასაქმებულთა რაოდენობაა 135. საჯარო სკოლები და ბაღები არ შედის.

2. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

მარტვილის მუნიციპალიტეტში მრეწველობა ძირითადად ემყარება ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულსა და ჰიდროენერგორესურსებს. ძირითადი დარგებია მეჩაიეობა, მემარცვლეობა, მეთხილეობა და მეცხოველეობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეხილეობა და მევენახეობა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში პერსპექტიულია ჩაისა და ვაზის ენდემური სახეობის - „ოჯალემის“ წარმოება. მუნიციპალიტეტში შემორჩენილია 881 ჰა ჩაის პლანტაცია, 2015 წელს დაიკრიფა 160 ტონა ჩაის ფოთოლი, სოფ. დიდი ჭყონში ფუნქციონირებს ჩაის მიკრო გადამამუშავებელი ქარხანა სადაც დასაქმებულია 20 ოჯახი. 22 ჰექტარი ოჯალემის ჯიშის ვაზის მოსავლიანობამ 2015 წელს შეადგინა 55 ტონა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჩაის პლანტაციების სრული ათვისების შემთხვევაში 4,000-მდე ადამიანი დასაქმდება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენდება მდინარე ტეხურზე კასკადური ტიპის 5 ჰესი, ჰესების მშენებლობისას და მათი ექსპლატაციაში შესვლის შემდეგ დასაქმდება დაახლოებით 700 ადამიანი. აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მიკრო ჰიდრო-ელექტრო სადგური „აბ ჰესი“. ასევე აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული ალპური საძოვრებისა და სხვა რესურსების გათვალისწინებით არსებობს მეცხოველეობის დარგის განვითარების პოტენციალი, ხოლო აუთვისებული სასოფლო მიწის ნაკვეთების სრულად დატვირთვის შემდეგ კიდევ უფრო გაიზრდება მარცვლეულის წარმოება.


2.1 სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების უმეტესი ნაწილი მიეკუთვნება თვითდასაქმებულთა სეგმენტს, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებში არის დასაქმებულნი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია ბიო მეურნეობების განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 28,686 ჰა უჭირავს, აქედან კერძო საკუთრებას შეადგენს 12,621 ჰა, დანარჩენი ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა, დანიშნულების მიხედვით მისი განაწილება შემდეგნაირად ხდება: საძოვარი - 13,591 ჰა, სახნავი - 8,920 ჰა და მრავალწლიანი კულტურები - 6,157 ჰა. მუნიციპალიტეტში დაუმუშავებელია 900 ჰა ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.


მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში ინტენსიურად ხდება მარცვლეული კულტურების, ჩაის პლანტაციების, ტუნგის ნარგაობებით დაკავებული ფართობების და დაჭაობებული ფართობების შემცირება და თხილის კულტურით ჩანაცვლება. (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2: თხილის ნარგავების ზრდის დინამიკა 2012-2016 წწ.



მემცენარეობა: დღეისათვის მრავალწლოვანი ფართობები კულტურების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: ვენახი 360 ჰა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები 446 ჰა, ხეხილი 462 ჰა, ჩაი 881 ჰა, კაკლოვანი კულტურები 3 690 ჰა, ციტრუსი 10 ჰა, კენკროვნები 11 ჰა და სხვა ტუნგო 315 ჰა.

დიაგრამა #3: მრავალწლიანი ფართობების დატვიტვა სულ 6,175 ჰა.



მოსავლიანობის თვალსაზრისით 2015 წლის შედეგები ასეთი იყო: ყურძენი 2,330 ტონა, თესლოვან კურკოვანი ხეხილი 1,466 ტონა, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები - 4,391 ტონა (მათ შორის დაფნა 100 ტ), კაკლოვანი კულტურები 3,370 ტონა, ციტრუსი 61 ტონა, ჩაი 160 ტონა, კენკრა 85 ტონა.

იმის გამო რომ არ არსებობს მოთხოვნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურა, საერთოდ დაუტვირთავია 315 ჰა ფართობის მქონე ტუნგოს პლანტაცია, ასევე არ ხდება ჩაის ფართობების მთლიანად ჩართვა საწარმოო პროცესში.


მუნიციპალიტეტში სეზონზე, მხოლოდ ხეხილის უმნიშვნელო ნაწილის რეალიზაცია ხდება. ხეხილოვანი კულტურები მუნიციპალიტეტში არ იწამლება და შედარებით სუფთაა ეკოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა ვიზუალურად ნაკლებ ეფექტიანია, შესაბამისად სარეალიზაციო პოტენციალი ნაკლებად გააჩნია. თუმცა მეხილეობა მუნიციპალიტეტისათვის ხელსაყრელი დარგია და თესლოვან-კურკოვანი ხეხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს მის აღორძინებას.

საკმაოდ პერსპექტიულია მუნიციპალიტეტისათვის ხურმის წარმოება, მარტვილის ხურმის ჩირი საკმაოდ მაღალი ცნობადობით ხასიათდება და ბაზარზე მოთხოვნადია, ძირითადად კუსტარულ პირობებში დამზადებული ჩირი ხვდება ბაზარზე. ამჟამად მიმდინარეობს კოოპერატივის ჩირის საშრობი საწარმოს მშენებლობა, რომელიც სავარაუდოდ 2017 წელს უნდა ჩაერთოს საწარმოო პროცესებში

მევენახეობა მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, სალხინო-თარგამეული-ბანძას მიკროზონა საუკეთესოა ოჯალეშის ვენახის წარმოებისათვის და პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელში.

ერთწლოვანი ნათესი ფართობები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სიმინდი 7,409 ჰა, სოიო 31 ჰა, ლობიო 12 ჰა და შვრია 12 ჰა. (იხ. დიაგრამა #4)

დიაგრამა #4: სახნავი ფართობების განაწილება სულ 8,920 ჰა.



არსებული სახნავი ფართობებიდან 2016 წლის განმავლობაში მიღებული იქნა 24 ტონა შვრია, 23,800 ტონა სიმინდი, 50 ტონა სოიო, 12 ტონა ლობიო და 320 ტონა კარტოფილი. ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოსავლიანობა შეადგენდა 100 ტონას და მწვანე კულტურების 474 ტონა (როგორც ღია გრუნტის, ასევე სასათბურე მეურნეობებში).

მეცხოველეობა: მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოსახლეობის საკუთრებაშია 40,440 სული მსხვილფეხა პირუტყვი (მათ შორის 27 000 ფური), 1,200 ღორი, 2,000 ცხვარი, 7,560 თხა და 235,400 ფრთა ფრინველი, მათ შორის ქათამი 211,000, ინდაური 19,000, ბატი 1,800, სხვა 3,600. საწარმოო დანიშნულებით ძირითადად გამოიყენება მსხვილფეხა და ასევე წვრილფეხა პირუტყვი. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა მარტვილის მუნიციპალიტეტში დამზადებულ ადგილობრივ სულგუნზე და ზოგადად რძის პროდუქტებზე. 2015 წელს რეალიზებულ იქნა 32,400 ტონა რძის პროდუქტი და 600 ტონა ხორცი.


მუნიციპალიტეტის მიწის რესურსებთან შედარებით პირუტყვის რაოდენობა რამდენჯერმე აღემატება ნორმის ფარგლებს, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ მიწის ნაყოფიერების მხრივ მთლად სახარბიელო მდგომარეობა არ არის, ჭარბძოვების შედეგად შესაძლებელია სავარგულების დეგრადირება და ნაყოფიერების გაუარესება, თუ საქმიანობაში მომთაბარე მეცხოველეობა არ ჩაერთო ან არ დარეგულირდა პირუტყვის და საძოვრების ბალანსი.

მეფუტკრეობა მუნიციპალიტეტში სულ 9,200 სკა ფუტკარია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი რესურსები თავისუფლად იძლევა დარგის კიდევ უფრო განვითარების შესაძლებლობას. 2015 წლისათვის მუნიციპალიტეტის მასშტაბით წარმოებული იქნა 110 ტონა თაფლი.

მეთევზეობა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 5 თევზსაშენი ტბორიდან, რომლის სარკის ფართობი 5,2 ჰა-ს შეადგენს, ფუნქციონირებს მხოლოდ 2 და აწარმოებს წელიწადში 0,75 ტონა თევზს. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში 3 საკალმახე მეურნეობაა სარკის საერთო ფართობით 0,1 ჰა. თუმცა ფუნქციონირებს სამივე მათგანი და აწარმოებენ წელიწადში 8 ტონა კალმახს. სატბორე მიმართულების მეთევზეობის განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის საკვები ბაზის ხელმიუწვდომლობა და ხარისხიანი სანაშენე ლიფსიტის დეფიციტი.

სულ მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია 583 ფერმერული მეურნეობა და 15 სასოფლო სამეურნეო საწარმო. მათი დარგობრივი განაწილება (იხ. დიაგრამა#5).

დიაგრამა #5: გერმერული მეურნეობების და საწარმოების ძირითადი დარგები სულ 598.



გადამამუშავებელი საწარმოებიდან მარტვილის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 5 თხილის გადამამუშავებელი საწარმო, 2015 წელს სულ გადამამუშავდა 370 ტონა თხილი, წარმოებული თხილის გულის რეალიზაცია მოხდა ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე. ასევე ფუნქციონირებს ფიჭის საწარმო (შპს "დასავლეთის ფუტკარი"), 2015 წელს სულ წარმოებულ იქნა 50,000 ცალი ფიჭა. არსებული საწარმოების სიმძლავრე ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის გადამამუშავებას, ამიტომ საკმაოდ ხშირია ნედლეულის სახით მოსავლის რეალიზების შემთხვევები.

მუნიციპალიტეტში დღეისათვის არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძირითადად ამორტიზებულია და მისი ექსპლუატაციის ვადა გასულია. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მუნიციპალიტეტში ს/ს ტექნიკა ამ ქვეყნიდან აღარც შემოსულა, რამდენიმე ერთეული შემთხვევის გარდა. სულ მუნიციპალიტეტში არის 230 ერთეული ტრაქტორი (აქედან მუშა მდგომარეობაში 170, სარემონტო 49, საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი 11) და 1 კომბაინი, რომლებიც სავარგულების მხოლოდ მცირე ნაწილის ათვისებას ახერხებენ. აბაშის მუნიციპალიტეტის მექანიზაციის ცენტრიდან მოყვანილი ტექნიკა კი ზრდის დანახარჯებს.

მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს სუბტროპიკულ ზონაში. პერიოდულად ადგილი აქვს გვალვებს. გვალვის პერიოდში, საირიგაციო სისტემის არარსებობის გამო ვერ ხდება რწყვა, რაც უარყოფითად მოქმედებს მოწეული მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე.

მუნიციპალიტეტის 3 საირიგაციო სისტემა საბჭოთა პერიოდში ემსახურებოდა - დიდი ჭყონის, მუხურჩა-ვედიდკარის და ცხენისწყალ-ნოდელას და ასარწყავიანებდა დაახლოებით 500 ჰა-მდე მიწის ფართობს. დღეისათვის ეს ინფრასტრუქტურა მწყობრიდანაა გამოსული და საჭიროებს რეაბილიტაციას, მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სათანადოდ მოვლასა და დამუშავებას. ამჟამად რეაბილიტაცია უტარდება ცხენისწყალ-ნოდელას ღია სარწყავ სისტემას, რომლის სარეკონსტრუქციო-წმენდითი სამუშაოების ჩატარების შედეგად გაიზრდება როგორც ერთწლიანი, ისე მრავალწლიან სასოფლოსამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, საგრძნობლად გაუმჯობესდება მეცხოველეობის საკვები ბაზა.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები.

პრობლემები:

- მუნიციპალიტეტში არსებული ჩაის რესურსის სრულად გამოყენება არ ხდება შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო, არსებობს მხოლოდ ერთი ჩაის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც სრულად ვერ ითვისებს არსებულ ნედლეულს, შესაბამისად ფართობების დიდი ნაწილი დეგრადირებულია
- ტუნგოს ნარგაობები შემორჩენილია საბჭოთა პერიოდიდან, რამდენიმე წარუმატებელი ცდის მიუხედავად, დღეისათვის მისი გამოყენება არ ხდება, ამ კულტურის ქვეშ დატვირთული ფართობი (315ჰა) სახნავი და მრავალწლიანი სავარგულების 5%-ს

შეადგენს, შესაბამისად გაცდენილი ფართობები ამცირებს მოსავლიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებს.

- სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა არ არის გასარწყავიანებული, რაც გარკვეულწილად ამცირებს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას.
- სუბტროპიკული და ხეხილოვანი კულტურების გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობის გამო მოსავლის დიდი ნაწილი ან არ გამოიყენება, ან ნედლეულის სახით იყიდება.
- პირუტყვის ჭარბი რაოდენობის და სავარგულების სიმცირის გამო ნიადაგის ნაყოფიერების დონე მცირდება,
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკის დეფიციტის და სიმცირის გამო სახნავი ფართობების 11% არ მუშავდება
- სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის ცოდნის არასაკმარისი დონე თითქმის ყველა დარგში იწვევს მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებების უგულებელყოფას მათი მხრიდან, რაც უარყოფითად აისახება დარგის რენტაბელობაზე და ხშირ შემთხვევებში მიღებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი დანახარჯების ტოლფასია.

გამოწვევები:

- მიწის საკადასტრო მონაცემების განახლება, და კატეგორიზაცია მნიშვნელობის მიხედვით ნიადაგის ტიპის და პერსპექტიული დარგის შესაბამისად მოგვცემს იმის საშუალებას რომ ჩაის და ტუნგოს ფართობები იქნას შესწავლილი ნარგავების ვარგისიანობის და დარგის სტრატეგიული მნიშვნელობის მიხედვით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება მუნიციპალიტეტმა შეადგინოს და განახორციელოს სოფლის განვითარების მრავალწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება თითოეული ნაკვეთისათვის ოპტიმალური მიმართულება, რომელიც ორიენტირებული იქნება მრავალწლიან შედეგზე.
- ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიის შექმნა და სრულფასოვანი დატვირთვა ხელს შეუწყობს მოსახლეობას ზუსტად განსაზღვრონ მიწის შემადგენლობა, სწორად დაგეგმონ ოპტიმალური კულტურა და მიზანმიმართული ღონისძიებებით სწორად არეგულირონ ნიადაგის ნაყოფიერება კონკრეტული დარგის განვითარებისათვის.
- სასოფლო სამეურნეო ტექნიკაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით მცირეგაბარიტიანი) ხელს შეუწყობს სრული აგროტექნიკური ღონისძიებების წარმართვას მიწათმოქმედებაში
- სახნავი ფართობების გარკვეული რაოდენობა საჭიროებს გასარწყავიანებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაუმუშავებელი მიწების ათვისებას და მოსავლიანობის გაზრდას.
- სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეუწყოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-

მეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და დაზრდის რაოდენობას.

- ადგილობრივი კადრების გადამზადება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროებში და ფერმერების დონეზე ექსტენციური მომსახურეობის ეფექტური მექანიზმის დანერგვა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ცოდნის დონის ამაღლებას, რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება არსებული დარგების სრული აგროტექნიკური ციკლის შენარჩუნება პირველადი წარმოებიდან საბოლოო პროდუქტამდე, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციის გაზრდილ რაოდენობას და ხარისხს.

2.2 მრეწველობა და გადამამუშავებელი მეურნეობა

მარტვილის მუნიციპალიტეტში პროდუქციის გამოშვებამ 2015 წელს შეადგინა 12 მლნ. ლარი, რომელიც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ნაკლებია 33%-ით და რეგიონის საერთო მონაცემის მხოლოდ 1%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელი 2015 წელს იყო 36 მლნ. ლარი, რომელიც წინა წლის მონაცემს უმნიშვნელოდ აღემატება.

დასაქმებულთა რაოდენობა მარტვილის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 759 პირია, რომელიც რეგიონში დასაქმებულების 4%-ს შეადგენს. ამ მხრივ მონაცემი გაუარესდა 2015 წელს 2014-თან შედარებით 23%-ით. დაქირავებულთა საშუალო შრომის თვიური ანაზღაურება 354 ლარს შეადგენს, რაც საქართველოს საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 39%-ია და რეგიონის საშუალო ხელფასებს 45%-ით ჩამოუვარდება, აღნიშნული ძალიან დაბალი მაჩვენებელია.

ცხრილი #2: ბიზნეს სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (2014)


	ერთეული	მონაცემი
პროდუქციის გამოშვება	მლნ. ლარი	17,9
ბრუნვა	მლნ. ლარი	33,9
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	1270
დაქირავებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	კაცი	1049
დაქირავებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება	ლარი	372,2
დამატებული ღირებულება	მლნ. ლარი	8,7
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	მლნ. ლარი	1,5

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2015 წლის ოფიციალური სტატისტიკის თანახმად მოქმედია 402 საწარმო.

მუნიციპალიტეტში ძირითადად განვითარებულია ვაჭრობა - ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, სადაც მოქმედ

საწარმოთა თითქმის ნახევარი ფუნქციონირებს. მრეწველობა და მძიმე მრეწველობა ნაკლებად განვითარებულია. მიუხედავად მუნიციპალიტეტის ტურისტული მიმზიდველობისა, როგორც შიდა ტურიზმის ასევე საგარეო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით მუნიციპალიტეტში მხოლოდ 9 სასტუმრო და რესტორანი ფიქსირდება.

დიაგრამა #6: მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა, საქმიანობის სახეების მიხედვით, 2015 წელი



ამასთან აღსანიშნავია, რომ 2016 წლის იანვარ-ივლისში ახლადრეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ მარტვილში 145 შეადგინა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში განვითარებულია ენერგეტიკა - მარტვილის მუნიციპალიტეტში ხდება ელექტრო ენერგიის გამომუშავება საერთო სიმძლავრით 1,06 მეგავატი და სასოფლო-სამეურნეო მიმართულებით გადამამუშავება მემცენარეობის, კერძოდ ჩაის მეურნეობა - 1 ტ. გამოშვებით და თხილის მეურნეობა - 120 ტ. პროდუქციის გამოშვებით.

მარტვილის მუნიციპალიტეტს გააჩნია ორი ჰესი; ერთი მდებარეობს სოფ. ინჩხურში (აბჰესის ჰიდროელექტრო სადგური), რომელიც გამოიმუშავებს 900 კილოვატ ელექტროენერგიას, ხოლო მეორე მდებარეობს სოფ. კურზუში (კურზჰესი), რომელიც გამოიმუშავებს 160 კვტ. ენერგიას და ემსახურება 30 ოჯახს.

პროექტი დამუშავებულია და დაგეგმილია მდინარე ტეხურზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადური ხუთი მცირე ჰესის მშენებლობა, საერთო სიმძლავრით 112 მეგავატი.

არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, მარტვილის მუნიციპალიტეტში, საშუალოვადიან პერიოდში პერსპექტიულ დარგად სოფლის მეურნეობასთან ერთად შესაძლოა მივიჩნიოთ როგორც ენერგეტიკა, ასევე ტურიზმი.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გამოწვევებია მუნიციპალიტეტში ნაკლებად განვითარებული ბიზნესსექტორი, მოსახლეობის დაბალი შემოსავლის დონე და დაბალი მსყიდველობითუნარიანობა.

საჭიროა მუნიციპალიტეტში დაიგეგმოს და განხორციელდეს მცირე ბიზნესის ხელშეწყობი პროექტები, განსაკუთრებით მომსახურების მიმართულებით და ტექნიკური მხარდაჭერა გაეწიოს ადგილობრივ ბიზნეს-ინიციატივებს, რომელიც უნდა წახალისდეს გამგეობის მხრიდან.

2.3 ტურიზმი და მომსახურების სფერო

მარტვილის მუნიციპალიტეტს ტურისტული მომსახურეობის კუთხით საკამოდ დიდი შესაძლებლობები გააჩნია, რაც გვადლევს საშუალებას, რომ მარტვილი გახდეს ტურისტებისათვის ერთ-ერთი მიმზიდველი და საინტერესო ადგილი. სამომავლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტები ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასა და პროგრესს მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

მარტვილის მუნიციპალიტეტში ვიზიტორთა საერთო რაოდენობა წლიურად შეადგენს 80,000-მდე ტურისტს. ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა იწყება მაისიდან და გრძელდება სექტემბერ-ოქტომბრის თვემდე.

მარტვილის ტურისტული პოტენციალი განისაზღვრება მისი ბუნებრივი ლანდშაფტის მრავალფეროვნებითა და მიმზიდველობით ასევე იმ ისტორიული ძეგლებით, რომლებიც უხვადაა წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ბუნების ძეგლთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მდინარე აბაშის ხეობაში მდებარე გაჭედის კანიონი, მოთენას მღვიმე, ტობას, ონიორეს და აბაშის ჩანჩქერები, არსენ ოქროჯანაშვილის, ტობას მეორე და ჯორწყუს მღვიმეები, რაჩხის უნიკალური, იშვიათი რელიქტური ტყეები.

ტურისტებისთვის და არა მარტო მათთვის, ფუნქციონირებს სასტუმრო „მარტვილი პალასი“, სასტუმრო „გარდა“ (სასტუმრო 15 ადგილიანია), ასევე 19 საოჯახო ტიპის სასტუმრო (თითო 9 ადგილიანი) და 1 ჰოსტელი (12 ადგილიანი). სასტუმროები კეთილმოწყობილია, თანამედროვე ტიპის, იზოლირებული „ლუქს-ნომრებითა“ და სველი წერტილებით.

მარტვილის მუნიციპალიტეტში მდებარეობს კურორტი „ლებარდე“, იგი ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატურ ბალნეოლოგიური კურორტია ეგრისის ქედზე. გამოირჩევა სხვადასხვა დასახელების მინერალური და მჟავე წყლებით. კურორტს ახასიათებს ზომიერად რბილი ზამთარი. ძირითადი სამკურნალო ფაქტორია: საშუალო მთის კლიმატი, ნახშირმჟავა მინერალური წყალი. სამედიცინო ჩვენება: სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელ ორგანოთა ქრონიკული დაავადებანი. საკურორტო სეზონი ივნისი-ოქტომბერი. აუცილებელია როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის, ასევე დასასვენებელი ობიექტების მოწყობა. მუნიციპალიტეტში რეკრეაციის სხვა დაწესებულებები არ არსებობს.

მუნიციპალიტეტში გასართობი ღონისძიებები იმართება მარტვილის მუნიციპალიტეტში არსებულ კულტურის სახლებში. მარტვილის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული, არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობით. აღსანიშნავია მარტვილის (ჭყონდიდის) სამონასტრო ანსამბლი, ნახარებაოს წმინდა გიორგის ეკლესია, აბედათის ციხის ღვთისმშობლის ეკლესია, ბაღდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, დიდი ჭყონის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი, აბედათის ციხე-სიმაგრე, ნაფოსტარის ეკლესია, ვედიდკარის მთავარანგელოზთა ეკლესია, ნამიკოლაოს მაცხოვრის ამაღლების ეკლესია, მეორე ნამიკოლაოს წმინდა გიორგის ეკლესია, ინჩხურის წმინდა გიორგის ეკლესია, კურზუს წმინდა ელია წინასწარმეტყველის ეკლესია, ნაგებერაოს წმინდა გიორგის ეკლესია, ნაჯახაოს მთავარანგელოზების ეკლესია, ნაჯახაოს წმინდა ბარბარეს ეკლესია (ბარბარეკარი), ალერტის წმინდა გიორგის ეკლესია, წაჩხურუს მთავარანგელოზის ეკლესია, სალხინოს დადიანთა კარის ეკლესია, სალხინოს წმინდა გიორგის ეკლესია, წაჩხურის მთავარანგელოზთა ეკლესია, ვახის წმინდა გიორგის ეკლესია, სერგიეთის მთავარანგელოზთა ეკლესია, ტალერის მთავარანგელოზთა ეკლესია და ქვემო ხუნწის მაცხოვრის ეკლესია. აღსანიშნავია ბანძის სინაგოგა, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ფუნქციონირებდა, გასული საუკუნის 70-იან წლებში კი ებრაელებმა დატოვეს. მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები სოფ. ხუნწში „ქუქითის გორაზე“ არსებულ ნაგებობების ნაშთებთან დაკავშირებით, რომელიც თარიღდება ჩვ.წ აღრიცხვით IV-V საუკუნეებით. ნიშანდობლივია, რომ ამ ტერიტორიას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. გათხრების შედეგად ნაპოვნია დაახლოებით V-VI საუკუნეების დარბაზის იატაკი და სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭლის ექსპონატები. სამომავლოდ მეცნიერები ფიქრობენ, რომ სოფელ ხუნწში „ქუქითის ციხე-სიმაგრე“ გამორჩეული იქნება მნიშვნელოვანი აღმოჩენებით.

მარტვილის ტურისტული პოტენციალის და მისი მიმზიდველობის გათვალისწინებით, საჭიროა ამ ეკონომიკურ მიმართულებას კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს და შეიძლება ეკონომიკურ დარგებში პრიორიტეტიც კი იყოს საშუალოვადიანი განვითარების მიზნებისთვის. მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან საჭიროა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოვლა-კეთილმოწყობა და ასევე მუნიციპალიტეტის პოზიციონირება ტურისტულ ბაზარზე.

ასევე ტურისტული პოტენციალის უკეთ წარმოჩენისა და ტურისტების რაოდენობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია მარტვილის მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ტურისტული გზის მაჩვენებლები, გაუმჯობესდეს ტურისტულ ადგილებში მისასვლელი გზები „ონიორეზე“, „ტობასა“ და „კაღუზე“. ხოლო უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა მოხდეს ყველა იმ ისტორიული, რელიგიური თუ კულტურული შენობა-ნაგებობის შესწავლა, გამაგრება და რესტავრაცია, რომელიც მოითხოვს სარეზილიტაციო სამუშაოების ჩატარებას, მათ შორის აღსანიშნავია სოფელ გურამების წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და აბედათის „ჯიხას“ ციხე-სიმაგრე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინება უზრუნველყოფს ტურიზმის სექტორის მაღალ დონეზე განვითარებას.

3. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

მარტვილის მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან უმნიშვნელოვანესია საგზაო ინფრასტრუქტურის აღდგენა/რეაბილიტაციის პროექტები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების უმეტესი ნაწილი ასფალტირებულია, გზებზე დაზიანებები აღმოფხვრილია, მაგრამ საჭიროებს გზის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხების გასუფთავებას და ზოგ ადგილებში ახალი არხების მოწყობას. მუნიციპალიტეტში არსებულ 21 ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრთან მიმავალი გზებიდან მოასფალტებულია და სრულადაა რეაბილიტირებული 18 ადმინისტრაციული ერთეულთან მისასვლელი გზა, ხოლო 3 ადმინისტრაციულ ერთეულში: გურძემში, დოშაყესა და ნახუნაოში მისასვლელი გზები სარეაბილიტაციოა სრულად, რაზეც შედგენილია საპროექტო დოკუმენტაცია და უახლოეს წლებში (2017-2019) დაგეგმილია სამუშაოების განხორციელება. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მუნიციპალიტეტის მოთხოვნით დააპროექტა საავტომობილო გზა აბაშა-მარტვილი კმ. 30-დან კმ. 32+500 მონაკვეთზე არსებული ამორტიზირებული რკინა-ბეტონის არხების რეაბილიტაციის სამუშაოები, მიმდებარე საფეხმავლო ბილიკების მოწყობით, რომელიც სავარაუდოდ 2017 წელს განხორციელდება, რის შედეგადაც თავიდან იქნება აცილებული მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებისა და საავტომობილო გზის სავალი ნაწილების დატბორვა, ასევე უსაფრთხო იქნება ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება.

მუნიციპალიტეტი ადგილობრივი მნიშვნელობისა და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვას საკუთარი სახსრებითა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით ახორციელებს. მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლების დახმარება, რაც გამოიხატება სამშენებლო-სატრანსპორტო ტექნიკის გადმოცემაში და გზების რეაბილიტაციისთვის საჭირო სახსრების მობილიზებაში. მუნიციპალიტეტს გააჩნია სამშენებლო-სატრანსპორტო ტექნიკა: ორი ექსკავატორი და ერთი გრეიდერი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მაგრამ თუ გაიზრდება ზემოთ აღნიშნული ტექნიკის რაოდენობა ავტოთვითმცლელებით, მეტი შესაძლებლობა შეიქმნება საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, რაც ხელს შეუწყობს სასოფლოს ტიპის დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტის ცენტრს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტი ნახევრად მთაგორიანია და გამოირჩევა მდინარეებისა და ჩამდინარე წყლების სიმრავლით, შესაბამისად ხიდების რაოდენობაც საკმაოდ დიდია. ის ხიდები, რომლებიც მდებარეობს შიდასახელმწიფოებრივ გზებზე მოწესრიგებულია, მათ შორის მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა ორ ხიდს მდ. ნოდელაზე და მდ. წაჩხურაზე. აღნიშნული სამუშაოები განახორციელა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე მდებარე ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება ადგილობრივი ბიუჯეტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, რაც არ არის საკმარისი არსებული ხიდების სარეაბილიტაციოდ, რამეთუ სტიქიური მოვლენების შედეგად ხშირად ზიანდება და სიძველის გამო მწყობრიდან გამოდის ხიდების უმრავლესობა. მიმდინარე წელს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანდა ოთხი ხიდი (სოფ.აბედათში -2; სოფ. ნახუნაო-1; სოფ. თამაკონი-1), მათი აღდგენისათვის საჭირო ფინანსური სახსრები გამოყოფილ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 200 000 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტი წყლის რესურსებით მდიდარია, მაგრამ მომხმარებლებისთვის წყლის დაუბრკოლებლად მიწოდება ყველგან ვერ ხერხდება. აუცილებელია სასმელი წყლის მაგისტრალების მოწყობა და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა. ოჯახების უმეტესობა წყალს ჭებიდან იმარაგებს. ბოლო პერიოდში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით 2013 წელს მოეწყო სოფ. ინჩხურის „ლებაჩეს“ უბნის წყალმომარაგების სისტემა, რომლის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 167 499 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით სოფ. სერგიეთში სულავებისა და ცანავების უბნის წყალმომარაგების პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 10300 ლარი. 2016 წელს სოფ. სერგიეთში მეორე ეტაპის, ბედიების, სულავების უბნისა და „კარკალაიას ჩიხის“ წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 12134 ლარი. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტებით შეძენილ იქნა წყლის ახალი მიწები და ცუდ მდგომარეობაში არსებული წყლის მიწები გამოიცვალა, რაც ხშირ ავარიებს და წყლის დაბინძურებას იწვევდა. თუმცა, განხორციელებული პროექტები მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობას მნიშვნელოვნად არ აუმჯობესებს მუნიციპალიტეტში და მას უფრო მეტი განვითარება სჭირდება.

კანალიზაციის ქსელის მოძველებული ნაწილის რეაბილიტაცია ჩატარდა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქალაქის ტერიტორიაზე, ნაწილი კი სარეაბილიტაციოა. მოსაწყობია ახალი საკანალიზაციო სისტემები. მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკანალიზაციო სისტემის მომწესრიგებელი სამსახური და შესაბამისი ტექნიკა. პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში საჭიროა დახმარების გამოძახება სხვა მუნიციპალიტეტიდან, რომელიც ტერიტორიული დაშორების გამო დროულად ვერ ახერხებს პრობლემაზე რეაგირებას.

2010 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტში შემოყვანილ იქნა გაზსადენი მაგისტრალი, ასევე 2016 წელს განხორციელდა ვედიდვარის დასახლების დაქსელვა, მაგრამ დანარჩენი დასახლებების გაზიფიცირების საკითხი კვლავ მოსაგვარებელია, რადგან გაზსადენი მაგისტრალის სრულად დაქსელვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. გაზიფიცირების სამუშაოების გაგრძელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის ყველა სოფელი დაკავშირებულია რაიონულ ცენტრთან სატრანსპორტო საშუალებით, რომლებიც შეუფერხებლად გადაადგილდებიან ამ გზებზე. ქალაქის ქუჩებსა და სოფლების ზოგიერთ უბნებზე მოწყობილია გარე-განათების სისტემები.

ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობით, წლების მანძილზე მიტოვებული და დანგრეული შენობა-ნაგებობები ადგილობრივმა ინვესტორებმა შეიძინეს, გაარემონტეს და დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო, სამრეწველო და მომსახურების ობიექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს შეესაბამება.

მუნიციპალიტეტში მიზანმიმართულად და ეტაპობრივად ხორციელდება ყველა ის პროექტი, რომელიც სოციალური პირობების გაუმჯობესებისთვისაა აუცილებელი და მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად არის მიჩნეული.

3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

მარტვილის მუნიციპალიტეტში შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების სიგრძეა 123,2 კმ, საიდანაც ასფალტირებულია 89,2 კმ, ხრეშოვანი 34 კმ. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებია:

1. შ-4 აბაშა-მარტვილი (14-34) 20 კმ.
2. შ-5 სენაკი-ნოქალაქევი-ბანძა-ხონი (20-33) 13 კმ.
3. შ-53 ხონი-მათხოჯი-მარტვილი (9-15) 6 კმ.
4. შ-77 სალხინო-დადიანების სასახლესთან მისასვლელი გზა (0-6,7) 6,7 კმ.
5. შ-85 მარტვილი-ტალერი-ჩხოროწყუ (0-30) 30 კმ.
6. შ-86 ნოქალაქევი-ლემდამე-დიდიჭყონი (11,3-23,5) 12,2 კმ.
7. შ-91 ტალერი-ლემბარდე (0-34) 34 კმ.
8. შ-92 მარტვილი-მარტვილის მონასტერი (0-1,3) 1,3 კმ.

ბოლო სამი წლის განმავლობაში რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და განხორციელდა შემდეგი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტები:

1. სოფ. დიდიჭყონი-ლედგებე-გურძემი-კიწია-ნოდას გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. ჯამში მოეწყო 14.070 კმ, რაზეც დაიხარჯა 2 983 133 ლარი.
2. სოფ. სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. ჯამში მოეწყო 3,680 კმ, რაზეც დაიხარჯა 1 444 605 ლარი. დარჩენილია 3,149 კმ.-ის მოწყობა, რისთვისაც საჭიროა დამატებით 1 000 000 ლარი.
3. ქ. მარტვილის (საელიაოს უბანში) დადიანის ქუჩაზე არსებულ დედათა მონასტერში მისასვლელი საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ფარგლებში მოეწყო 1,307 კმ., რისთვისაც გაწეულ იქნა 448 045 ლარის ხარჯი.

4. ქ. მარტვილი წოწორიას ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. 2016 წელს მოეწყო 1,340 კმ. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 226,000 ლარი.
5. სოფ. ნაგვაზაო-ხუნწის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. 2016 წელს მოეწყო 2,096 კმ., რისთვისაც დაიხარჯა 397555 ლარი. დარჩენილია 3.9 კმ.-ის მოწყობა, რისთვისაც საჭიროა 1175000 ლარი.
6. მარტვილი-სერგეთი-აბედათის გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. 2013-2014 წელს მოეწყო 12,8 კმ. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 195,2846 ლარი.
7. 2013 წელს განხორციელდა ნახარებაო-ნაგვაზაო-ლებხინდრაოს გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა 5,126 კმ.-ზე. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 787432 ლარი.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქ. მარტვილში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ფარგლებში 2016 წელს მოეწყო 0,542 კმ. გზა, რისთვისაც დაიხარჯა 441,470 ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განხორციელდა:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლების: სალხინო-ლეცავე-ბალდას გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. 2016 წელს მოეწყო 6,611 კმ., რაზეც დაიხარჯა 1 704 877 ლარი.
2. სოფ. ონოღია-ნაჯახაოს გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა. 2016 წელს მოეწყო 5,094 კმ. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 1 770 618 ლარი.
3. სოფ. გაჭედილი-ბალდას მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. 2015 წელს მოეწყო 5,210 კმ., რისთვისაც დაიხარჯა 2061510 ლარი.
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის ტალერი დიდი-ჭყონის მეურნეობის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყო 4,04 კმ., რისთვისაც დაიხარჯა 1510745 ლარი.

ადგილობრივი ბიჯეტიდან დაფინანსებული პროექტებია:

1. ქ. მარტვილის შიდა საავტომობილო გზებზე ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთების სამუშაოები, რისმა ღირებულებამაც შეადგინა 7400 ლარი.
2. ქ. მარტვილში ავტოსადგურთან ასფალტობეტონის საფარის მოწყობა. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 20 532 ლარი (2016 წელი).
3. გაჭედილის კანიონამდე მისასვლელი გზის ცემენტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 62 162 ლარი (2016 წელი).

ზემოთ აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, თუმცა საჭიროებები კვლავ არსებობს.

შესაბამისად, გზის მშენებლობა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება.

2017 წლისთვის დაგეგმილია ქალაქის შიდა ქუჩების გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა და სოფლებში დაწყებული მშენებლობების გაგრძელება. კერძოდ:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა (მესამე ეტაპი). პროექტის ღირებულება არის 500,000 ლარი.
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუნწისა და სოფ. ნაგვაზაოს დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა (მეორე ეტაპი). პროექტის ღირებულება არის 300,000 ლარი.
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გურძემის გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება არის 700,000 ლარი.
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. კურზუსა და დღვანის უბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება არის 400 000 ლარი.
5. ქ. მარტვილი, თ. წოწორიას ქუჩაზე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება არის 85,000 ლარი.
6. ქ. მარტვილში თამარ მეფის ქუჩაზე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება - 120,000 ლარი.
7. ქ. მარტვილი, ნუკრი გეგიას ქუჩაზე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა - პროექტის ღირებულება - 85,000 ლარი.
8. ქ. მარტვილი, შეროზიას ქუჩაზე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა - პროექტის ღირებულება - 55,000 ლარი.
9. ქ. მარტვილი, მშვიდობის ქუჩის მე-3 შესახვევში გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება - 45,000 ლარი.
10. ქ. მარტვილი, 9 აპრილის ქუჩაზე გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა. პროექტის ღირებულება - 110,000 ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში განსახორციელებელი საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების (ასფალტობეტონის საფარით მოწყობის) არსებული პროექტებით 42 კმ გზა საჭიროებს რეაბილიტაციას და პროექტების ჯამური ღირებულება შეადგენს 14,000,000 მილიონ ლარს.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების საერთო სიგრძეა 177,3 კმ, საიდანაც 69,4 კმ არის ასფალტირებული, ხოლო 107,9 კმ ხრეშოვანია. მუნიციპალიტეტში არის 104 ხიდი, რომელთა საერთო სიგრძეა 1,627 მეტრი. მათ შორის: მდ. ინჩხიაზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 24,6 გრძ/მეტრი; მდ. აბაშაზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 25 გრძ/მეტრი; მდ. ტეხურაზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 80 გრძ/მეტრი; მდ. ატამასხევზე ლითონის ხიდი სიგრძით 12 გრძ/მეტრი; მდ. ოჩხომურაზე ლითონის ხიდი სიგრძით 12 გრძ/მეტრი; უსახელო ღელეზე

ლითონის ხიდი სიგრძით 12 გრძ/მეტრი; მდ. ჩხოუშიაზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 25 გრძ/მეტრი; მდ. ცხენისწყალზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 138.5 გრძ/მეტრი; მდ. ნოდელაზე ხიდი სიგრძით 44,5 გრძ/მეტრი; მდ. წაჩხურაზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 60 გრძ/მეტრი; მდ. ტეხურზე რკინა-ბეტონის ხიდი სიგრძით 80 გრძ/მეტრი; მდ. ტეხურზე 3 ხიდი შესაბამისად 78, 25 და 40 გრძ/მეტრის სიგრძის; მდ. ცხიმურაზე 1 ხიდი სიგრძით 25 გრძ/მეტრი; მდ. ნასუხუზე 1 ხიდი სიგრძით 25 გრძ/მეტრი; მდ. ლეკუდელაზე 1 ხიდი სიგრძით 25 გრძ/მეტრი; საჭიროა ხიდების მოწყობა მდ. ლეჩხაზე; მდ. ხორგუნიაზე; მდ. ხირხზე და მდ. ტეხურზე. მათი საერთო სიგრძეა 150 გრძ/მეტრი. ხიდების მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი. დაზიანების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი ღებულობს ზომებს მათ შესაკეთებლად და ყოველი წლის ბიუჯეტში ითვალისწინებს შესაბამის თანხებს.

2016 წელს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მოეწყო სოფ. ნაგვაზაოსა და სოფ. ხუნწის დამაკავშირებელი ახალი რკინა ბეტონის 24 გრძ/მეტრიანი ხიდი. სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 210,000 ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის არხის საერთო სიგრძე არის 73 კმ, რომელიც ემსახურება 2400 აბონენტს. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია წყალმომარაგების უზრუნველყოფას სრულად ახორციელებს შემდეგ დასახლებებში: ქ.მარტვილი (1603 აბონენტი); სოფ. ნაგვაზაოს ქვედა ნაგვაზაოს უბანი (127 აბონენტი); სოფ. სერგიეთი (420 აბონენტი); სოფ. ინჩხური (243 აბონენტი). 2011 წელს შედგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია სოფლების სალხინო-დიდიჭყონი-თამაკონის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე. პროექტის ღირებულება შეადგენს 8,072,497 ლარს. ქალაქის ტერიტორიაზე ნაწილობრივ არის რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემა. საკანალიზაციო ქსელის საერთო სიგრძე შეადგენს 3 კმ-ს.

გარე-განათების სისტემა მოწესრიგებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ხოლო რაც შეეხება ქალაქის ქუჩებს და სოფლის დასახლებებს გარე-განათების სისტემები მეტ-ნაკლებად არის მოწყობილი. ბოლო წლების განმავლობაში გარე-განათების სისტემების მოწყობა ძირითადად ადგილობრივი ბიუჯეტისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით დაიგეგმა და განხორციელდა. კერძოდ 2016 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ქ. მარტვილში განხორციელდა შემდეგი პროექტები: თ. წოწორიას ქუჩაზე მოეწყო გარე განათების სისტემა (პროექტის ღირებულებამ შეადგინა 12978 ლარი); ანჯაფარიძის, ჩიქვანაიას ქუჩებზე და გვალიების უბანში მოეწყო გარე განათების სისტემა (პროექტის ღირებულებამ შეადგინა 15,100 ლარი). „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2016 წელს მარტვილის მუნიციპალიტეტის 12 დასახლებაში განხორციელდა გარე განათების სისტემის სამონტაჟო სამუშაოები, რისთვის გაწეულმა ხარჯმაც შეადგინა 26,899 ლარი. გარე-განათების მოწყობის ხარჯების გაწევა ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. საშუალოდ ხარჯების მოცულობა ყოველწლიურად შეადგენს 150,000 ლარს.

ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობა სრულიად უზრუნველყოფილია.

სარწყავი არხების სისტემა მუნიციპალიტეტში არ არის მოწყობილი. მიმდინარეობს მდ. ცხენისწყალზე გაუქმებული სარწყავი სისტემის აღდგენა/რეაბილიტაცია.

3.2. ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

ქ. მარტვილში ფუნქციონირებს ერთი სკვერი და ერთი პარკი, სადაც მოწყობილია საფეხმავლო ბილიკები, დასასვენებელი სკამები, საბავშვო გასართობი ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია განათების სისტემებით, სასმელი წყლითა და მისასვლელი გზებით.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტურისტული რესურსებიდან აღსანიშნავია გაჭედის კანioni. კანიონი არის ბუნების ძეგლი, რომელიც მდინარე აბაშის მიერ აბდათის კირქვული ქანებით აგებულ ანტიკლინში, კანიონისებურად გაჭრილ ხეობას წარმოადგენს. კანიონის სიგრძე 2,400 მ-ია, ჩაჭრის სიღრმეა 20-30 მ, ხოლო სიგანე 5-10 მ. კანიონში ორ ადგილას არის შენახული კირქვის ბუნებრივი ხიდები, რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ ოდესღაც კარსტული მღვიმე ჩამოიშალა. გარდა ამისა, კანიონის შუა წელში წარმოიშობა 12-15 მ სიმაღლის ვარდნის მცირე ჩანჩქერები. ერთი მონაკვეთი გამოირჩევა განსაკუთრებული სილამაზით. ეს არის ოფუცხოლე, რომელიც ცნობილია “დადიანების საბანაოს” სახელით. აქ ჩასასვლელად ბილიკი კირქვის დიდი კვადრებისგან აშენებული კიბეს ჩაუყვება. 2016 წელს დასრულდა გაჭედის კანიონის დამთვალიერებლთა ცენტრის მშენებლობა, განხორციელდა მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, გაკეთდა საფეხმავლო ბილიკები გადასახედი ინფრასტრუქტურით, მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება ავტოპარკინგის მშენებლობა. მუნიციპალიტეტში საკმაოდ ბევრი ტურისტული ძეგლია. მათ უმეტესობასთან საავტომობილო გზით მისვლა შესაძლებელია. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს საბაგრო გზა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქ. მარტვილის ცენტრსა და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს.

მუნიციპალიტეტმა აქცენტი განსაკუთრებით უნდა გააკეთოს კურორტ ლეზარდეს განვითარებაზე. კურორტი მდიდარია მინერალური წყლით, თუმცა ამ რესურსის გამოყენებისთვის საჭიროა მასთან მისასვლელი საავტომობილო გზის აღდგენა და შემდგომ სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

4. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა. მუნიციპალიტეტში არ ფიქსირდება ინფექციურ დაავადებათა კერა, ასევე არ ფიქსირდება ენდემური, ამა თუ იმ კონკრეტული არეალისათვის დამახასიათებელი დაავადებები. პრევენციული ღონისძიებების საფუძველზე ხდება მოსახლეობის დაცვა ინფექციური დაავადებების გავრცელებისგან.

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

4.1 ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა

მარტვილის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 15 საწოლიანი საავადმყოფო; შპს „სამედიცინო ცენტრი-მკურნალი“; შპს „მარტვილის ქალთა კონსულტაცია“, 5-სტომატოლოგიური კაბინეტი. ექიმთა რაოდენობა შეადგენს - 56-ს. (მათ შორის, თერაპევტი - 6; ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი - 6; კარდიოლოგი - 2; ენდოკრინოლოგი - 2; ჰემატოლოგი/ტრანსფუზიოლოგი - 1; დერმატო ვენეროლოგი - 1; ფთიზიატრი - 1; ინფექციონისტი - 1; ნევროლოგი - 2; ნეონატოლოგი - 2; ბავშვთა ინფექციონისტი - 1; ბავშვთა ნევროლოგი - 1; ზოგადი ქირურგი - 4; ბავშვთა ქირურგი - 1; ოფთალმოლოგი - 2; ოტორინოლარინგოლოგი - 2; უროლოგი - 1; ორთოპედ-ტრავმატოლოგი - 1; მეან გინეკოლოგი - 4; სამედიცინო რადიოლოგი - 4; ანესთეზიოლოგი - 2; ფსიქიატრი - 1; ლაბორატორიული მედ.ექიმი - 3; ზოგადი პროფილის ექიმი ლაბორანტი - 1; ექიმი ეპიდემიოლოგი - 1; თერაპევტ-სტომატოლოგი - 6 (მათ შორის 2 ქირურგი-სტომატოლოგი).

მუნიციპალიტეტში არსებობს 21 ამბულატორია და 24 ოჯახის ექიმი. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი განთავსებულია 2 ადგილას ქ. მარტვილსა და სოფელ დიდი ჭყონში და ემსახურება 12 ექიმი, რომლებიც განაწილებული არიან 3 ბრიგადად.

ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა შეადგენს 15-ს, საწოლების უზრუნველყოფა 100,000 მოსახლეზე შეადგენს 44,9-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 11,4 ერთეულით.

ექიმთა რაოდენობაა 86, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 13-ით. საექთნო პერსონალის რაოდენობაა 52, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 2-ით. გეგმიური ქირურგიული ოპერაციები 2015 წელს იყო 28, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 97-ით, ხოლო გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები - 237, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში შემცირებულია 2-ით.

ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობამ შეადგინა 59,779, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 8,521-ით. სასწრაფო დახმარების გამოძახება ყოველწლიურად მზარდია და 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 6,659-ით და შეადგენს 13,174-ს.

რაც შეეხება, მუნიციპალიტეტში გავრცელებულ დაავადებებს: შაქრიანი დიაბეტი აქვს 628 პირს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 257-ით; გულის იშემიური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 45-ით და შეადგენს 465-ს; ჰიპერტენზიული ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 2091-ით და შეადგენს 3,884-ს; პირველად დადგენილი გულის მწვავე ინფარქტი 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 10-ით და შეადგენს 33-ს; ცერებროვასკულური ავადმყოფობა 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 41-ით და შეადგენს 181-ს; ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი 2012 წელთან შედარებით შემცირებულია 8-ით და შეადგენს 212-ს, ხოლო პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეები 2012 წელთან შედარებით გაზრდილია 54-ით და შეადგენს 65-ს.

მუნიციპალიტეტი გამოირჩევა კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაზე. რაც შეეხება პირველადი ჯანდაცვის რგოლს, ამბულატორიების ნაწილი არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, არა აქვთ ტექნიკური აღჭურვილობა. ეს კი შეიძლება აისახოს ავადობის მატებაში. ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრს ქმარტვილში არ გააჩნია საკუთარი შენობა. მუნიციპალიტეტში ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. მოსახლეობისათვის ჯანდაცვის მომსახურება ხელმისაწვდომია.

ჯანდაცვის სფეროში გამოკვეთილი საჭიროებებია: სამედიცინო დაწესებულებების შენობები თანამედროვე სტანდარტებით და შესაბამისი სამედიცინო ავეჯით, ინვენტარით, საჭირო სამედიცინო ხელსაწყოებით (ოტოსკოპი, ოფთალმოსკოპი, ელექტრო კარდიოგრამა - შესაბამისი ლენტით, დაკალიბრებული წნევის აპარატი, დაკალიბრებული სამედიცინო სასწორი), ტესტი-სისხლში ჰემოგლობინის, შარდში ცილის განსაზღვრისთვის, გლუკომეტრი ტესტ ჩხირით, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების „ჩანთის“ (მედიკამენტების) სისტემატიური განახლება, კომუნიკაციის საშუალებები (ინტერნეტი), საკანცელარიო საშუალებებითა და პირველადი ჯანდაცვის დონეზე მოსახლეობის აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დაწესებულებების მაღალი ტექნოლოგიური აპარატებით უზრუნველყოფა.

4.2. სოციალური მომსახურება

მარტვილის მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარების მიმღები მოსახლეობის რაოდენობაა 7,145 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 21,4%-ია, რაც აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს - 13%-ს. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გარკვეული რყევებით ხასიათდებოდა, განსაკუთრებით 2016 წელს გაიზარდა 1,351 პირით და საბოლოო ჯამში გაზრდილია 209 ერთეულით.

მარტვილის მუნიციპალიტეტში პენსიონერთა რაოდენობაა 7,984 ანუ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 23,9 %-ია. ეს მონაცემი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შემცირებულია 203 ერთეულით. სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობა შეადგენს 2004-ს, მარჩენალდაკარგულთა რაოდენობა - 230-ს, ხოლო პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა - 2. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირთა, მარჩენალდაკარგულთა და პოლიტრეპრესირებულთა რაოდენობა შემცირებულია შესაბამისად 9, 26 და 3 ერთეულით. ამასთან, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა, რომლებიც ღებულობენ დევნილთა შემწეობას, შეადგენს 2,254 პირს, ხოლო 536 დევნილი ღებულობს საარსებო შემწეობას. ამასთან, მუნიციპალიტეტში აღრიცხულია ეკომიგრანტი - 4, მრავალშვილიანი (5 და მეტ შვილიანი ოჯახები) ოჯახი - 54, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები და ინვალიდები (აფხაზეთი, სამაჩაბლო) – 90, დიდი სამამულო ომის მონაწილეები - 14, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მებრძოლები - 48, აგვისტოს ომის მონაწილეები - 79.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის კვების ვაუჩერის ქვეპროგრამით სარგებლობს 2, ჯანმრთელი ბავშვების დღის ცენტრით - 1, ბავშვთა რეაბილიტაციით - 1, ხოლო დამხმარე საშუალებების ქვეპროგრამით - 7 ბენეფიციარი, რაც არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე ძალიან ცოტაა და მომავალში აუცილებლობას წარმოადგენს შესწავლილ იქნას სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ინდივიდუალური საჭიროებები.

მარტვილის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით მოქმედებს მუნიციპალური სოციალური პროგრამები.

აღსანიშნავია, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პროგრამები მრავალფეროვანია და ყოველწლიურად მზარდია, რაც მეტწილად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

ცხრილი #3: 2012-2016 წლების მუნიციპალური სოციალური პროგრამების სტატისტიკა

პროგრამების დასახელება	2012		2013		2014		2015		2016 (არასრული)	
	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა	ბენეფიციართა რაოდენობა	თანხა
სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	187	156900	185	145000	274	160802	441	255559	543	289395
ომის მონაწილეთა, დევნილთა და უკიდურესად შეჭირვებული მარტოხელების სარიტუალო დახმარება	16	6200	14	5300	24	4500	27	4250	28	4200
ვეტერანთა სოციალური ხარჯები (9 აპრილის, 9 მაისის, აგვისტოს მოვლენებში დაზარალებულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება)	5	3600	5	3800	5	3690	21	6652	25	9230
100 და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა ერთჯერადი დახმარება	5	1000	7	1400	8	1600	6	3000	4	2000
სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება	566	109900	236	50900	703	95650	796	109400	734	115804
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	163	16300	175	17500	68	13600	65	13000	54	10800
მარჩენალგარდაცვლილი ბავშვების ერთჯერადი დახმარება	266	27400	234	35100	147	33800	157	48700	228	45900
ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარება	200	20000	144	21600	124	18600	122	24400	98	19600
ხანძრით, მიწისძვრით, სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	285	72700	301	88800	342	116950	342	133500	88	58136
ახალშობილთა დახმარება	348	34480	363	54450	422	63300	458	91600	375	71760

5. განათლება, კულტურა და სპორტი

5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა

სკოლამდელ განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის „ბაღი ყველა სოფელს“ განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანი სამუშაოები თანამიმდევრულად გრძელდება შემდეგი ძირითადი ამოცანების ფარგლებში:

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა;
- სკოლამდელი განათლების ხარისხის განვითარება. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედება;
- სკოლამდელი განათლების პედაგოგთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინება;
- ინფრასტრუქტურის გამართვისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის 21 ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც რეგისტრირებულია 976 ბავშვი, (სულ მუნიციპალიტეტში სკოლამდელი ასაკის 1,873 ბავშვია), რომელთა ფიზიკური გაჯანსაღებისა და განვითარების მიზნით ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა აქტივობა. კვება ხორციელდება ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად. აღსაზრდელთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით საბავშვო ბაღში დაცულია დღის რეჟიმი.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა არც თუ ისე დიდი რაოდენობა და კეთილმოწყობა, შესაბამისი ფიზიკური, სოციალური და აკადემიური გარემოს შექმნა, რაც ხელს უშლის აღსაზრდელთა სასურველ სასკოლო მზაობას. საჭიროებას წარმოადგენს შესაბამისი და ხელმისაწვდომი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით საბავშვო ბაღების გახსნა სოფელ სერგიეთში, ონოლიაში, ინჩხურში, თამაკონში, დომაყეში, მუხურჩაში, ხუნწში, ნოლაში, ჭყონში, დღვანასა და ნამიკოლაოში.

დღეის მდგომარეობით სრულად არის რეაბილიტირებული 2 საბავშვო ბაღი (სალხინო და ნაჯახაო), ასევე სრულად არის სარეაბილიტაციო 2 საბავშვო ბაღი (ლევცხვაიესა და დიდიჭყონის) ხოლო თვრამეტივე საბავშვო ბაღში დგას სრული აღჭურვის და რეაბილიტაციის დასრულების საჭიროება.

მუნიციპალიტეტი ყოველ წელს გამოყოფს ბიუჯეტიდან ფინანსურ სახსრებს ზემოთაღნიშნული პრობლემის ეტაპობრივად მოგვარების მიზნით.

2014 წლიდან საბავშვო ბაღები აღიჭურვა საჭირო ინვენტარით კერძოდ, საწოლებით, მაგიდებით (აღსაზრდელთა და აღმზრდელთათვის), სკამებით, კარადებით (ტანსაცმლის, ტექნიკური საშუალებებისთვის, სამზარეულოსთვის) და სხვა საოჯახო ნივთებით.

ყველა სოფლის მაცხოვრებელს არა აქვს საშუალება ისარგებლოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2017 წელს იგეგმება 3

ახალი საბავშვო ბაღის გახსნა (სერგიეთი, ონოლია და თამაკონი) და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

დღეის მდგომარეობით სრულად არის რეაბილიტირებული 3 (სალხინო და ნაჯახაო) ბაღი, ასევე სრულად არის სარეაბილიტაციო 2 ბაღი (ლევციხეზაიესა და დიდიჭყონის) ხოლო თვრამეტივე საბავშვო ბაღში დგას სრული აღჭურვის და რეაბილიტაციის დასრულების საჭიროება; ასევე საჭიროა საბავშვო ბაღების გახსნა სოფელ სერგიეთში, ონოლიაში, ინჩხურში, თამაკონში, დოშაყეში, მუხურჩაში, ხუნწში, ნოლაში, ჭყონში, მამულში, დღვანასა და ნამიკოლაში.

მიმდინარეობს ააიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისათვის ბაზის მშენებლობა, მშენებლობის დასრულების შემდეგ საჭიროა მოხდეს სრულად აღჭურვა სათანადო ინვენტარით, რაც შეეხება ააიპ სამუსიკო სკოლას სარეაბილიტაციოა სოფ. დიდი ჭყონში არსებული შენობა და შესაძენია ინვენტარი, ასევე შესაძენია ინვენტარი როგორც კულტურისა და ახალგაზრდობის ცენტრისთვის ასევე სასპორტო სკოლისათვის

მარტვილის მუნიციპალიტეტში 39 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა/სკოლაა, მათ შორის 2 კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 4,134-ია, მათ შორის 277 კერძო სკოლაში. მოსწავლეთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 189 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში გაზრდილია 26 ერთეულით. მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 912, მათ შორის 59 კერძო სკოლაში. მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 2 ერთეულით, მათ შორის კერძო სკოლაში გაზრდილია 14 ერთეულით. მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა შეადგენს 4,5, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში შემცირებულია 0,2-ით.

მოხდა ნაგებერაოს საჯარო სკოლის ძველი შენობის დემონტაჟი და გეგმაშია ახალი კორპუსის აშენება. მთლიანად სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება ლევციხეზაიეს საჯარო სკოლას. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა აბედათის, სერგიეთის, კიწიის საჯარო სკოლებს. ასევე, 2012 წლიდან მოხდა 28 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, საჭიროებების მიხედვით. 2013 წელს აღდგა ლევციხეზაიეს საჯარო სკოლა და ექსპლუატაციაში შევიდა ნახუნაოს საჯარო სკოლა. გეგმაშია ნახურცილაოს, ქვედა ნაგვაზაოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია.

სკოლების ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად შეესაბამება საგანმანათლებლო მოთხოვნებს, თუმცა პრობლემას წარმოადგენს საჯარო სკოლების კეთილმოუწყობელი სპორტული დარბაზები და სველი წერტილები. უფრო მეტიც, პირველ საჯარო სკოლაში სამ ათეულ წელზე მეტია არ არსებობს სპორტული დარბაზი, რაც თავისთავად მოსწავლე-ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდასა და განვითარებას უშლის ხელს. ასევე სერგიეთის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია ნაწილობრივ და შეჩერებულია ფინანსების არქონის გამო. მეტწილად მოსწავლეებს საშუალება არა აქვთ ისარგებლონ ლაბორატორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

აუცილებელია მეორე ნამიკოლას სკოლის სასწავლო კორპუსის რემონტი. ბაღის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი ავარიულ მდგომარეობაშია, საჭიროებს რეაბილიტაციას. მოსაწესრიგებელია გურძემის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი და სველი წერტილები. ავარიულ მდგომარეობაშია ზედა ხუნწის საჯარო სკოლის შენობა. სერგიეთის, დღვანის, ჯოღვეისა და კურზუს სკოლების სპორტდარბაზები სარეაბილიტაციოა. სარეაბილიტაციოა წაჩხურუსა და ნახუნაოს საჯარო სკოლების დამხმარე შენობები. ოჩეს საჯარო სკოლის ოთახები სარემონტოა, იატაკი გამოსაცვლელია. ინჩხურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არადამაკმაყოფილებელია.

სკოლების უმეტესობას არ გააჩნია საგნობრივი ლაბორატორიები და კაბინეტები.

მუნიციპალიტეტი გეგმავს კანონმდებლობისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში მხარი დაუჭიროს 2017 წლის გამოწვევებს, რათა ხელი შეუწყოს ახალგაზრდის პიროვნულ ზრდასა და კარიერულ განვითარებას.

5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

მარტვილის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მარტვილის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი, სამუსიკო სკოლა და ბიბლიოთეკა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ სასპორტო სკოლა და ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა.

ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს 12 საფეხბურთო ჯგუფი, მათ შორის: გოგონებისა და მეორე ლიგის თითო-თითო გუნდი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 6 სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი 3 მინი მოედანი და ერთი ფიტნეს დარბაზი. ასევე მიმდინარეობს მარტვილის საფეხბურთო სკოლის ბაზის შენობის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის სამუშაოები რომლის ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2017 წელს.

მუნიციპალიტეტში არ არის საკმარისი სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული ინფრასტრუქტურა, მიმდინარეობს ქ. მარტვილში ახალგაზრდული ცენტრის - სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რომელიც დასრულდება 2016 წლის დეკემბრის თვეში, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტი გეგმავს მოიძიოს შესაბამისი ფინანსური სახსრები აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად და მარტვილში მოსწავლე-ახალგაზრდების სპორტული და საგანმანათლებლო მიმართულებებით განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობით გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად. პროექტის სავარაუდო ღირებულებად 4,000,000 ლარია განსაზღვრული.

დაგეგმილია მარტვილის მუნიციპალიტეტში სპორტული კომპლექსის მშენებლობა რომელიც სრულად მოაგვარებს დრეისათვის არსებულ პრობლემებს.

6. გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ტეხური, აბაშისწყალი და ცხენისწყალი. მდინარეთა ულამაზესი ხეობები ნაპირებზე ქმნის შესანიშნავ რელიეფურ წარმონაქმნებს, მცირე მდინარისპირა ვაკეებსა და ზეგნებს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 45% ტყითაა დაფარული. ტყის ფართობი შეადგენს 53,000 ჰა-ს. აქედან ნაწილს ტყეკაფის სტატუსი აქვს მინიჭებული. ტყეების ნაწილი სუბალპურ ზონაში იზრდება. მუნიციპალიტეტს გააჩნია როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ტყეები ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები. მარტვილის მუნიციპალიტეტს ნაკრძალები არ გააჩნია.

მარტვილის მუნიციპალიტეტისთვის ბუნებრივი საფრთხეებიდან სახასიათოა ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობა, მეწყერი და მდინარეთა ნაპირების წარეცხვა, არის გვალვის შემთხვევებიც და ხანმოკლე სეტყვაც. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა და მეწყერი თითქმის ყველა სოფელში აზიანებს შიდა სასოფლო გზებს. ხდება მდინარის ნაპირების წარეცხვა და ზიანდება ჭალისპირა სახნავ-სათესი ფართობები.

მუნიციპალიტეტში არ არის საკანალიზაციო კოლექტორები და წყალგამწმენდი ნაგებობები, რის გამოც ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეში.

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად დიდი ოდენობის თანხები იხარჯება ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობაზე, პრობლემებს კი ძირითადად ძლიერი წვიმების შედეგად ადიდებული მდინარეები და მცირე ზომის დელეები ქმნიან. ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარებულია მდინარეებზე: ტეხური, აბაშა, ინჩხია და სხვადასხვა დელეებზე, საერთო სიგრძით 3.5 კმ. ყოველწლიურად ზიანდება მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები სხვადასხვა სოფლებში, ასევე ზიანდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. მუნიციპალიტეტი ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობას სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის და წინასწარი პრევენციისთვის ახორციელებს. 2017 წლის ბიუჯეტში ნაპირდამცავი ნაგებობებისთვის გათვალისწინებულია 89,600 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტში სავტომობილო გზების დეპარტამენტი თითქმის ყოველწლიურად ახორციელებს მასშტაბურ ღონისძიებებს ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის მიზნით და ბოლო სამი წლის განმავლობაში მოწყობილ იქნა ნაპირსამაგრები მდ. ინჩხიაზე და მდ. ტეხურზე, დეპარტამენტი გეგმავს მდ. ვახაზე ნაპირსამაგრის მოწყობას, რითაც მუნიციპალიტეტისთვის და სოფ. სალხინოს ვახის უბნის დასახლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა იქნება მოგვარებული. პროექტის ღირებულებად განსაზღვრულია 556,390 ლარი. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სოფ. ვედიდკარში მუხურჩის უბანში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დატბორვა, რომელიც ხდება მდ. აბაშის ადიდებისას, აუცილებელია აღნიშნული ნაკვეთების დაცვა და ნაპირდამცავი ნაგებობების აღდგენა/რეაბილიტაცია.

ნარჩენების შეგროვება/გატანა/განთავსებას ახორციელებს ა(ა)იპ მარტვილის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობის ცენტრი“.

მუნიციპალიტეტში არსებობდა ლიცენზირებული ნაგავსაყრელი რომელიც დაიხურა ამა წლის ნოემბრის თვეში. ნარჩენების გატანას მუნიციპალიტეტი ახდენს ქ. სამტრედიაში არსებულ ნაგავსაყრელზე, სოფ. დაფნარაში. აღნიშნული ნაგავსაყრელი მარტვილის ცენტრიდან და შორებულია 50 კმ-ით, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია ნარჩენების გატანისათვის. მუნიციპალიტეტში არსებობს არალეგალური ნაგავსაყრელებიც. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრს არ გააჩნია არანაირი აღსაკვეთი ბერკეტი ნარჩენების არალეგალულად განთავსების აღსაკვეთად.

დასუფთავების სამსახური ემსახურება 25% (8,366 მოსახლე). ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა წელიწადში დაახლოებით შეადგენს 0.64 მ3. შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 5,376 მ3. არ ხდება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება ან/და რომელიმე კომპონენტის შეგროვება/გადამუშავება.

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერების საშუალებით - 100%. კონტეინერთა საერთო რაოდენობაა 100. ყველა კონტეინერი ლითონისაა. კონტეინერები იცლება 2 დღეში ერთხელ. მუნიციპალიტეტს გააჩნია ერთი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანა. სპეც-ავტომეურნეობებს სამრეცხაო არ აქვთ.

ნარჩენების მიმართულებით გამოყოფილი ბიუჯეტი შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 1.74%-ს (128,000 ლარი).

მუნიციპალიტეტს განაცხადი აქვს 100 ლითონის კონტეინერზე და ორ კომპაქტორ მანქანაზე, რომელზეც ჯერჯერობით არ მიგვიღია.

7. ხელისუფლება

მუნიციპალიტეტში ხელმისაწვდომი სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელია საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი და შემოსავლების სამსახური. ხდება გაცემა მშენებლობის ნებართვების.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - მუნიციპალიტეტის გამგეობა.

გამგეობის სამსახურებია:

- ადმინისტრაციული სამსახური;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახური;
- ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური;
- კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;
- შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური.

საკრებულოს კომისიებია:

- სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისია;
- საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია;
- ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისია;
- სოციალურ საკითხთა კომისია;
- სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მართვის საკითხთა კომისია.

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 9,414,300 ლარი; 2014 წელს - 10,767,800 ლარი, 2015 წელს - 10,360,600 ლარი, 2016 წლის გეგმა შეადგენს 11,712,400 ლარს.

მუნიციპალიტეტში ხარჯების განაწილება პრიორიტეტებისა და წლების მიხედვით მოცემულია ცხრილში. წლების განმავლობაში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პრიორიტეტზე გაწეული ხარჯები სტაბილურად მაღალია. 2015 წელს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე გაწეულმა ხარჯებმა მთლიანი ხარჯების 70% შეადგინა.

ცხრილი #4: მუნიციპალიტეტში ხარჯების განაწილება პრიორიტეტებისა და წლების მიხედვით

დასახელება	2013 წლის ფაქტი	2014 წლის ფაქტი	2015 წლის ფაქტი
პრიორიტეტი 1: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	5 117 300	6 480 300	5 476 000
პრიორიტეტი 2: სკოლამდელი აღზრდა-განათლება და საჯარო სკოლების მოსწავლეთა სკოლისგარეშე აქტივობების მხარდაჭერა	738 700	592 000	599 900
პრიორიტეტი 3. კულტურა, ხელოვნება, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	869 300	943 000	1 078 100
პრიორიტეტი 4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	504 700	593 000	769 900
ჯამი	7 230 000	8 608 300	7 923 900

ბოლო სამი წლის განმავლობაში 2014-2015 წლების სრული და 2016 წლის არასრული მონაცემების გათვალისწინებით ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ გაწეული ხარჯები შეადგენს 187.75 ლარს. ბოლო სამი წლის განმავლობაში არის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდის ტენდენცია 2014 წელს 2013 წელთან შედარებით გაიზარდა 884,400 ლარით; 2015 წელს 2014 წელთან შედარებით გაიზარდა 646,000 ლარით; 2016 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 672,000 ლარით. საშუალოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში ადგილობრივი ბიუჯეტი იზრდებოდა 734 133 ლარით.

2016 წლის ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსულობების მთლიანი მოცულობა შეადგენს სულ 6556,0 ათას ლარს, მათ შორის გადასახადები 950,5 ათასი ლარი, გრანტები 5227,5 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი – 5064,5 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 163,0 ათასი ლარი სხვა შემოსავლები 328,0 ათასი ლარი.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი, 2016 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი შემოსავლების, გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების, მთავრობის სარეზერვო და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების ცვლილების ჩათვლით 11712,4 ათას ლარს შეადგენს.

2016 წელს დაგეგმილი იყო და მიმდინარეობს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზების რეაბილიტაცია;
- საბავშვო ბაღების, წარმომადგენლების ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.
- წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია;

- სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია;
- ნაპირსამაგრი ნაგებობებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია-მშენებლობა;
- სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;
- კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტის თემებში ხორციელდება შიდა გზების მოხრეშვა, გარე განათების, წყალსაწრეტი არხების, მგზავრთა მოსაცდელების, სპორტული მოედნების, მილხიდების, მდინარეზე ნაპირსამაგრების მოწყობა და რეაბილიტაცია.

8. SWOT ანალიზი

1. ინფრასტრუქტურა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების უმეტესი ნაწილი ასფალტირებულია; • საგზაო ინფრასტრუქტურის ზოგადი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; • ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა; • მუნიციპალიტეტის ტურისტულ ზონაში მდებარეობა; • ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტულობის აღიარება ხელისუფლებისა და თვითმმართველობების მიერ; • ტურისტულ ძეგლებამდე მისასვლელი გზების კარგი მდგომარეობა; • ყველა სოფელი დაკავშირებულია რაიონულ ცენტრთან სატრანსპორტო საშუალებით.	• სარეაბილიტაციო და მოსაწყობია საკანალიზაციო სისტემები; • მუნიციპალიტეტი სრულად არ არის გაზიფიცირებული; • წყალმომარაგების პრობლემა; • დასახლებების იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • სოფლებში შეზღუდული ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე; • კურორტი ლეზარდე ინფრასტრუქტურულად მოუწყობელია.
შესაძლებლობები	საფრთხეები
• საგზაო ინფრასტრუქტურის სრულად მოწესრიგება; • წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის მოძველებული ნაწილის რეაბილიტაცია და მოწყობა; • გარე განათებით დასახლების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა; • ბუნებრივი აირის მიწოდების სისტემის განვითარება; • ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა; • კურორტ ლეზარდეს ინფრასტრუქტურულად მოწყობა.	• საფინანსო და ეკონომიკური კრიზისები; • ბუნებრივი და სტიქიური მოვლენების გამო არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების საფრთხე; • პროექტების განხორციელებისათვის საჭირო შეზღუდული ფინანსური რესურსები.

2. ეკონომიკა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• განვითარებული ენერგეტიკის სექტორი; • მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოფიზიკური მდებარეობა, სტრატეგიული სატრანსპორტო ფუნქცია, მუნიციპალიტეტებს შორის დამაკავშირებელი კვანძი; • სხვადასხვა სახის აუთვისებელი წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგები, სამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალი; • ლებარდეს სამკურნალო წყლის საკურორტო პოტენციალი; • წყლის რესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი, სასმელად ვარგისი მტკნარი წყლების მნიშვნელოვანი რესურსი; • გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროებში გამოცდილება და შესაბამისი კადრების არსებობა; • ტურისტული ობიექტების სიმრავლე; • მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გარკვეული მატერიალური ბაზის არსებობა; • დინამიურად განვითარებადი საბანკო სექტორი და მიკროსაკრედიტო ორგანიზაციები; • ბიზნესისა და ინვესტიციებისათვის მიმზიდველი საშუალებების არსებობა; • საშუალო და უმაღლესი განათლების სპეციალისტების არსებობა; • ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების სიმრავლე; • ტურისტების დიდი ინტერესი არსებული ძეგლებისადმი.	• არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისების დაბალი დონე; • მრეწველობის სექტორის არასაკმარისი განვითარება; • პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არასაკმარისი მოცულობა და მათი მოზიდვის ხელშეწყობის ქმედითი მექანიზმების ნაკლებობა; • დაფინანსების მწირი ხელმისაწვდომობა დამწყები ბიზნესებისათვის; • უმუშევრობის მაღალი დონე, დასაქმების მაჩვენებლების დაბალი ზრდა; • კვალიფიციური კადრების გადინება; • მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი ინტენსივობა; • საფეხმავლო ბილიკების გაუმართაობა; • ტურისტული საქმიანობის არასაკმარისი გამოცდილება.
შესაძლებლობები	საფრთხეები
• მუნიციპალიტეტის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება, ინვესტორების მზარდი დაინტერესება ტურისტული ბაზის განვითარების, წყლის და წიაღისეულის მიმართ; • ტურისტული ნაკადის ზრდა;	• საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; • სტიქიური მოვლენები.

• საკრედიტო დაფინანსების ბაზრის შესაძლებლობების გაფართოება, საბანკო კრედიტებზე და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა; • დაგეგმილი პროექტი მდ. ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების ხუთი კასკადური ჰესის მშენებლობა; • მუნიციპალიტეტის მასშტაბით გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარება; • სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისათვის სპეციალური პროგრამების ინიცირებაში მონაწილეობა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის მხარდაჭერა; • მიტოვებული შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიების ეფექტიანი ათვისება; • ტურიზმის განვითარების პოტენციალის გამოყენება; • ტურისტების მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; • მუნიციპალიტეტის ტურისტული ცნობადობის გაზრდა სათანადო მარკეტინგული კამპანიის საშუალებით(სანიშნები, ბუკლეტები, ტრიპლეტები, რუკები დამზადება).	
--	--

3. ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა;

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა; • მუნიციპალიტეტის სასწრაფო სამედიცინო დახმარების 2 ბრიგადის მიერ ყველა თემში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დროულად მიწოდება; • მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი სოციალური პროგრამების არსებობა; • სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ორგანიზებულობა; • კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი; • მუნიციპალური სოციალური პროგრამები.	• მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი დინამიკა; • მოსახლეობის ბუნებრივი მატების კლებადი დინამიკა; • მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იმულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური პრობლემები; • უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები; • სიღარიბის მაღალი მაჩვენებლები; • სოციალური სახლების არარსებობა; • მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მედიკამენტებზე შეზღუდული ფინანსური ხელმისაწვდომობა; • შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; • ამბულატორიების სტანდარტებთან შეუსაბამობა; • ამბულატორიების სამედიცინო ტექნიკური აღჭურვილობა; • მედ.პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
• საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტურობა; • მოსახლეობისათვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების გაწევა; • მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.	• ინფლაციის რისკი; • ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი; • მოსახლეობის რისკ ჯგუფები; • ავადობის მატება.

4. განათლება, კულტურა და სპორტი;

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• კადრების სტაბილურობა; • მასწავლებელთა გადამზადების უზრუნველყოფა; • შემოქმედებითი უნარისა და კრეატიული აზროვნების მქონე აღმზრდელ-პედაგოგები; • კვალიფიცირებული/სერტიფიცირებული კადრები; • ზოგადი განათლების სფეროში განხორციელებული და ინფრასტრუქტურის განახლებისა და გაუმჯობესების მიმდინარე პროექტები; • ახალშენებული საბავშვო ბაღები; • ბაღებში გარემონტებული სამუსიკო დარბაზები; • მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება; • კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მრავალფეროვნება.	• ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო; • პროფესიული კოლეჯების/სასწავლებლების არარსებობა; • სკოლამდელი განათლების დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის გაუმართაობა; • საგანმანათლებლო-სააღმზრდელი პროცესში ტრადიციული სწავლების ფორმებისათვის უპირატესობის მინიჭება; • არაფორმალური განათლების პროგრამების შემუშავება და განხორციელება; • ისტორიულ, რელიგიურ და კულტურულ მემკვიდრეობასთან მისასვლელი გზების და კომუნიკაციების მოუწყვრებლობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
• სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლობა გამომცემლობებთან, მუზეუმთან და სკოლასთან; • აღსაზრდელთათვის ეზოს ნაკვეთის გამოყოფა; • სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სპორტული მოედნების გაკეთება და კეთილმოწყობა; • სტანდარტზევით ფასიანი მომსახურების შეთავაზება; • პედაგოგთა მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის კონკურსებში; • მოტივაციის ასამაღლებლად წახალისება-დაჯილდოება; • ლიტერატურული კაფეს გახსნა; • ინოვაციებზე ორიენტირებული პროგრამების დაფინანსება.	• ისტორიული, რელიგიური და კულტურული ძეგლების არამდგრადობა; • ფასიანი სტანდარტზევით მომსახურების მაღალი გადასახადი; • არასაკმარისი ფინანსური რესურსი; • აღმზრდელ-პედაგოგთა „დაბერება“; • სკოლამდელი დაწესებულებებში ჯგუფების გადატვირთვა; • ახალგაზრდობის მიგრაცია; • პროფესიონალი კადრების უმუშევრობა.

5. გარემოს დაცვა და კატასტროფის რისკების შემცირება;

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მუნიციპალიტეტის მდიდარი ბიომრავალფეროვნება და ბუნებრივი რესურსები; • გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის პრაქტიკა;	• გამწმენდი ნაგებობების არარსებობა; • ტყეების არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობა; • ტყითსარგებლობის სამართლებრივი ბაზის ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან შეუთავსებლობა.
შესაძლებლობები	საფრთხეები
• ნარჩენების გატანის ორგანიზება მუნიციპალიტეტის ყველა თემიდან, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; • ცნობიერების ამაღლების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით საკითხებში და საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; • გარემოსდაცვითი ორგანიზაციების დაინტერესება შესაბამისი პროექტების განხორციელებით.	• ბუნებრივი კატაკლიზმები.

9. მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ა) მარტვილის მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა

ხედვა: მარტვილის მუნიციპალიტეტი ცხოვრებისთვის უსაფრთხო და საინტერესო მუნიციპალიტეტი ქართული ტრადიციებითა და მოწესრიგებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით, სადაც განვითარებულია აგროსექტორი, ტურიზმი, მრეწველობა და უზრუნველყოფილია ბუნებრივი რესურსების გამოყენება მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბ) მარტვილის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მდგრად სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მოსახლეობის დასაქმებას, მუნიციპალიტეტის მზარდი ტურისტული პოტენციალისა და ბუნებრივი რესურსების სრულად გამოყენებას, მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტური სოციალური მომსახურებით, მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი, პირველ რიგში, უზრუნველყოფს ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებას და მათ ჩართვას გადაწყვეტილებების მიღებაში ასევე, თანამშრომლობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

10. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტების დოკუმენტის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მარტვილის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.

პრიორიტეტი 1: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ღონისძიებები:

- მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია;
- მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია;
- გარე განათების ქსელის გამართვა;
- სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების რეაბილიტაცია;
- სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია.

შედეგები:

- რეაბილიტირებულია 69 კმ მუნიციპალური გზები და 9 ხიდ-ბოგირი;
- რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ადმინისტრაციული 14 შენობა;
- გარე განათების სისტემა (2000 სანათი) გამართულია მუნიციპალურ ცენტრსა და სოფლების ცენტრალურ უბნებში;
- რეაბილიტირებულია სანიაღვრე არხები – 3,5 კმ;
- ნაპირსამაგრი სამუშოები, ჩატარებული მდინარეებზე: ტეხური, აბაშა, ინჩხია, და სხვადასხვა ღელეებზე, საერთო სიგრძით 3.5 კმ;
- გაუმჯობესებულია მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

დაფინანსება: პრიორიტეტის დაფინანსებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 5,5 მილიონი ლარის გამოყოფა 2016-2019 წლებში. დამატებით, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან, საბაზისო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე 2016-2017 წლებში მოსალოდნელია 5 მილიონი ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 2. მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ღონისძიებები:

- მუნიციპალიტეტში არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა;
- მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია;
- კურორტი ლებარდეს მოწყობა და მისი, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული რესურსის გამოყენების ხელშეწყობა;
- ტურისტებისთვის მიმზიდველი დასასვენებელი გარემოს შექმნა;
- მდ. ტეხურაზე ჰიდროელექტროსადგურების ხუთი კასკადური ჰესის მშენებლობის ხელშეწყობა;

გადამამუშავებელი საწარმოების ხელშეწყობა ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით.
შედეგები: - მუნიციპალიტეტში იზრდება ინვესტიციების მოცულობა; - მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი და ტურისტული რესურსების მაქსიმალურად ათვისება ხდება; - იზრდება გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა და დასაქმებული ადამიანების რიცხვი; - უმჯობესდება მოსახლეობის სოცო-ეკონომიკური მდგომარეობა; - მდგრადად ვითარდება ენერგეტიკის სექტორი.

პრიორიტეტი 3: სკოლამდელი აღზრდა-განათლება და საჯარო სკოლების მოსწავლეთა სკოლისგარეშე აქტივობების მხარდაჭერა
ღონისძიებები: - საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და ინვენტარით უზრუნველყოფა; - საბავშვო ბაღის შენობების რეაბილიტაცია და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა; - საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლებისა და სოციალური აქტივობების ხელშეწყობა.
შედეგები - უზრუნველყოფილია 18 საბავშვო ბაღის საოპერაციო ხარჯების დაფინანსება, რომლებიც ყოველწლიურად მოემსახურება 970-მდე საბავშვო ბაღის აღსაზრდელს; - უზრუნველყოფილია 4 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა; - მუნიციპალიტეტის 37 საჯარო სკოლის მოსწავლეთა სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯების თანადაფინანსება.
დაფინანსება: პრიორიტეტის დაფინანსებაზე 2017-2020 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 5 მილიონი ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 4. კულტურა, ხელოვნება, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
ღონისძიებები: - ეროვნულ ჩემპიონატში გათამაშებაში მონაწილე მეორე ლიგის გუნდი „სალხინოს“ მხარდაჭერა; - სპორტული კლუბებისა და წრეების მხარდაჭერა.
შედეგები: ფეხბურთის 12, ჭადრაკის 3, ჭიდაობის 3, კრივის, კალთბურთის, რაგბის და სხვა წრეებისა და სექციების მხარდაჭერა, სადაც გაერთიანებულია 500-მდე მოსწავლე;

• მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მიეცემა საშუალება ნაყოფიერად გაატარონ თავისუფალი დრო, სხვადასხვა მიმართულებით ახალი უნარები და ცოდნა შეიძინონ, ხელი შეეწყობა სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ასევე ჩატარდება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები.
დაფინანსება: პრიორიტეტის დაფინანსებაზე 2017-2020 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 5,3 მილიონი ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
ღონისძიებები: • საგანმანათლებლო, აღზრდით და საგანმანათლებლო-აღზრდით დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; • საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელების მხარდაჭერა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარების უზრუნველყოფა.
შედეგები: • მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსახლეობის მოწყვლადი სეგმენტის მატერიალური მხარდაჭერა, სხვადასხვა დაავადებების გავრცელებისა და ეპიდემიების პრევენცია.
დაფინანსება: პრიორიტეტის დაფინანსებაზე 2017-2020 წლებში მარტვილის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაგეგმილია 3,2 მილიონი ლარის გამოყოფა.

პრიორიტეტი 6: გარემოს დაცვა
ღონისძიებები: • საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; • ქარსაცავი ზოლების აღდგენა/გაშენიანება. • ადგილობრივი ლიცენზირებული ნაგავსაყრელის მოწყობა
შედეგები: • მდინარეების დაბინძურების რისკის შემცირება • წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიებისგან ნიადაგების დაცვა. • გამარტივებული ნარჩენების განთავსება

დანართი

დანართი 1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ასაკობრივ ჯგუფში.

მარტვილის მუნიციპალიტეტი	სულ	მამაკაცი	ქალი
	33,463	16,433	17,030
0-4	1,847	949	898
5-9	1,638	861	777
10-14	1,635	861	774
15-19	1,798	991	807
20-24	1,699	958	741
25-29	1,927	1,107	820
30-34	1,955	1,056	899
35-39	2,038	1,032	1,006
40-44	2,215	1,186	1,029
45-49	2,353	1,218	1,135
50-54	2,691	1,287	1,404
55-59	2,511	1,195	1,316
60-64	2,446	1,132	1,314
65-69	1,673	731	942
70-74	1,709	713	996
75-79	1,665	620	1,045
80-84	959	331	628
85+	704	205	499

დანართი # 2

მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა					
N	დასახელება	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.
1	საავადმყოფოსა და სამედიცინო ცენტრების რაოდენობა	1	1	1	1
2	ამბულატორიული ცენტრებისა და პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა გარდა სტომატოლოგიურ)	2	2	2	2
3	დამოუკიდებელი დისპანსერების რაოდენობა	0	0	0	0
4	ამბულატო-რიის რაოდენობა	3	3	3	3
5	სოფლის ექიმი - მეწარმეების რაოდენობა	16	16	16	16
6	სასწრაფო დახმარების სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	1	1	1	2
7	სისხლის გადასხმის სადგურების (განყოფილება) რაოდენობა	0	0	0	0
8	ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა	15	15	15	15
9	საწოლების უზრუნველყოფა 100000 მოსახლეზე	33.5	33.6	44.8	44.9
10	ექიმთა რაოდენობა	73	75	80	86
11	საექთნო პერსონალის რაოდენობა	5	51	52	52
12	გეგმიური ქირურგიული ოპერაციები	125	109	22	28
13	გადაუდებელი ქირურგიული ოპერაციები	239	269	261	237
14	მშობიარობა, მათ შორის ბინაზე	129	109	89	64
15	აბორტების რაოდენობა	99	63	8	4
16	ამბულატორიულ- პოლიკლინიკურ სამსახურში მიმართვიანობა	51258	49380	55955	59779
17	სასწრაფო დახმარების გამოძახება	6515	6168	8847	13174
18	შაქრიანი დიაბეტი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	371	450	574	628
19	გულის იშემიური ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	420	471	509	465
20	ჰიპერტენზიული ავადმყოფობა (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	1793	2048	3289	3884
21	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები გულის მწვავე ინფარქტით	23	16	35	33
22	ცერებროვასკულური ავადმყოფობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	140	158	184	181
23	ბრონქული ასთმა და ასთმური სტატუსი (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	220	205	207	212
24	სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები ავთვისებიანი სიმსივნეებით	11	2	8	65
25	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (წლის ბოლოს იმყოფებიან დაკვირვებაზე)	0	0	0	0

